სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 16.01. 2013 წელი

პრეამბულა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი (შემდგომში - მუსიკალური ცენტრი) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში ხელოვნების უნივერსიტეტი), სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, რათა ხელი შეუწყონ ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებს, მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბების, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადებისათვის საჭირო ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფაში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- სანახაობით-შემოქმედებითი ღონისძიებებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ხელშეწყობას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუსიკალური ცენტრი უზრუნველყოფს:

მუხლი 1

1.1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის განათლების სფეროში, საქართველოში არსებული სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მუსკალური ცენტრის შენობაში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფას.

1.2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სასწავლო პრქტიკის/სტაჟირების გავლას მუსიკალურ ცენტრში არსებული ტექნიკური რესურსების გამოყენების გზით.

1.3. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მომზადებული წარმოდგენების და გამოფენების გასამართავად მუსიკალური ცენტრის შენობაში არსებული საკონცერტო დარბაზისა და საგამოფენო სივრცის გამოყენებას.

1.4. სხვა ღონისძიებების განხორციელებას ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად.

1.5. ცალკეული ღონისძიებების ჩატარებისა და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად, წინამდებარე მემორანდუმის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური
ცენტრის დირექტორი — გ. მიქელაძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია